

„დამტკიცებულია“

სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის  
მოვალეობის შემსრულებლის/პრორექტორის

2018 წლის ----- № -----ბრძანებით

---

საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა



<p><b>პროგრამის სახელწოდება:</b></p>	<p>საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა</p>
<p><b>პროგრამის ხანგრძლივობა:</b></p>	<p><b>60 აკადემიური საათი</b></p>
<p><b>პროგრამის აღწერილობა:</b></p>	<p>სასწავლო პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებსაც სურთ ტურისტული უსაფრთხოების ქვეითი პატრულის პოზიციის დაკავება. სასწავლო კურსის საერთო ხანგრძლივობაა 60 აკადემიური საათი (6 საათი ეთმობა შეფასებას), რომელიც, შსს აკადემიაში სასწავლო კვირის დატვირთვის შესაბამისად, რაც გულისხმობს 5 დღეს - 30 აკადემიურ საათს, შეადგენს ≈ 10 სასწავლო დღეს (2 კვირა).</p> <p>სწავლება შედგება 3 (სამი) სასწავლო თემისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა ზოგადსამართლებრივი მომზადება</li> <li>➤ საცეცხლე მომზადება</li> <li>➤ სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და პოლიციელის პირადი უსაფრთხოების წესები</li> </ul> <p>მსმენელები შეფასდებიან საცეცხლე მომზადებაში. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსანტებს გადაეცემათ სერტიფიკატი, რის საფუძველზეც შეეძლება ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულ</p>
<p><b>პროგრამის მიზანი:</b></p>	<p>ტურისტული მომსახურების ინსპექტორის უფლება-მოვალეობების ეფექტიანი შესრულება.</p>

N	საგნების სახელწოდება	ხანგრძლივობა	შეფასება
1.	საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა ზოგადსამართლებრივი მომზადება	28	შეფასების გარეშე
2.	საცეცხლე მომზადება	20	ჩათვლა 6 საათი დანართების შესაბამისად
3.	სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და პოლიციელის პირადი უსაფრთხოების წესები	6	შეფასების გარეშე
	სულ	54 საათი	6 საათი

1	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვეით პატრულ-ინსპექტორთა ზოგადსამართლებრივი მომზადება (28 სთ)	
მიზანი:	პოლიციელის უფლება-მოვალეობებისა და კომპეტენციის განსაზღვრა.	
N	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
1/1	<p><b>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო ხელისუფლებაში;</li> <li>➤ სამინისტროს ანგარიშვალდებულება;</li> <li>➤ სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები;</li> <li>➤ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილეები;</li> <li>➤ სამინისტროს სისტემა და მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კომპეტენცია;</li> <li>➤ ზოგადი დებულებები, დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და პრინციპები;</li> <li>➤ საქმიანობის სფერო და ამოცანები;</li> <li>➤ სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები;</li> <li>➤ შსს-ს საპატრულო პოლიციის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ამოცანები და ანგარიშვალდებულებები;</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ისაუბრებს შსს-ს სტრუქტურაზე, მის საქმიანობასა და ამოცანებზე;</li> <li>➤ აღწერს შსს-ს მინისტრისა და მოადგილეების კომპეტენციას;</li> <li>➤ გამოიხატავს სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებს;</li> <li>➤ ისაუბრებს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებზე, ამოცანებზე და ანგარიშვალდებულებებზე;</li> <li>➤ აღწერს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურასა და მის ერთეულებს;</li> <li>➤ იმსჯელებს საპატრულო პოლიციის სამსახურის ძირითად ფორმებზე, მეთოდებსა და ორგანიზაციაზე.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ შსს-ს საპატრულო პოლიციის სამსახურის საქმიანობის პრინციპები;</li> <li>➤ შსს-ს საპატრულო პოლიციის სამსახურის საქმიანობის მიმართულებები;</li> <li>➤ შსს-ს საპატრულო პოლიციის სამსახურის საქმიანობის ძირითადი ფორმები, მეთოდები და ორგანიზაცია.</li> </ul>	
1/2	<p><b>ქუჩაში მყოფი არასრულწლოვნების გამოვლენა და პირველადი ღონისძიებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ არასრულწლოვანთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები;</li> <li>➤ სპეციალიზებული დაწესებულება;</li> <li>➤ ობოლი ბავშვი;</li> <li>➤ მზრუნველობამოკლებული ბავშვი;</li> <li>➤ ნაპოვნი ბავშვი;</li> <li>➤ მიუსაფარი ბავშვი.</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აღწერს არასრულწლოვანთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს და სპეციალიზებულ დაწესებულებას;</li> <li>➤ ისაუბრებს ობოლ, მზრუნველობამოკლებულ, ნაპოვნი და მიუსაფარი ბავშვებზე.</li> </ul>
1/3	<p><b>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზანი;</li> <li>➤ კონტროლის სახეები სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების გამომტანი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ;</li> <li>➤ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ;</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ისაუბრებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალეულობის ფორმებზე (განზრახვა და გაუფრთხილებლობა), ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე (უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელი მოგერიება, შეურაცხადობა), მცირე მნიშვნელობის მქონე სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველზე;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა);</li> <li>➤ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალეული ჩადენა (განზრახვა და გაუფრთხილებლობა);</li> <li>➤ ადმინისტრაციული სახდელის ცნება და სახეები (მათი განმარტებები);</li> <li>➤ ვადა რომლის გასვლის შემდეგაც პირი ითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ისაუბრებს ადმინისტრაციული სახდელის ცნებაზე, სახეებზე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, სახდელის ვადაზე.</li> <li>➤ ერთმანეთისაგან განასხვავებს და შეძლებს ისაუბროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ იმ გადაცდომებზე, რომლებიც შესაძლოა გამოვლენილ იქნეს სამსახურებრივი უფლებამოვალეობის შესრულებისას.</li> <li>➤ ისაუბრებს და იმსჯელებს იმ მუხლებზე როგორცაა: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანები და წესი; საპროკურორო ზედამხედველობა კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მისი შინაარსი; შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ოქმი არ შედგება.</li> </ul>
1/4	<p><b>ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ნაწილი 1.</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 107<sup>1</sup>. საერთო სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებების შიდა მოწყობილობის დაზიანება;</li> <li>➤ მუხლი 166. წვრილმანი ხულიგნობა;</li> <li>➤ მუხლი 173. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება;</li> <li>➤ მუხლი 174<sup>1</sup>. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა;</li> <li>➤ მუხლი 181<sup>1</sup>. ცივი იარაღის ტარება;</li> <li>➤ მუხლი 150. თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება;</li> </ul>	

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 153<sup>3</sup>. გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე;</li> <li>➤ მუხლი 153<sup>6</sup>. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე;</li> <li>➤ მუხლი 171. საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმა ან ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება.</li> </ul>	
1/5	<p><b>ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ნაწილი 2</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 116. სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდასატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის;</li> <li>➤ მუხლი 118<sup>1</sup>. ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა;</li> <li>➤ მუხლი 118<sup>2</sup>. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა;</li> <li>➤ მუხლი 118<sup>3</sup>. მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა;</li> <li>➤ მუხლი 121. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის, ანდა</li> </ul>	

	<p>სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის.</p>
<p>1/6</p>	<p><b>ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ნაწილი 3</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 121<sup>1</sup>. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობით უკანონოდ სარგებლობა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანის წესების დარღვევა ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა ან მის მიერ ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მესამედ ჩადენა;</li> <li>➤ მუხლი 122. სატრანსპორტო საშუალების მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით;</li> <li>➤ მუხლი 123. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის/ მარეგულირებლის მოთხოვნის შეუსრულებლობა;</li> <li>➤ მუხლი 125. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა;</li> <li>➤ მუხლი 127. ქვეითად მოსიარულის ან საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, აგრეთვე საავტომობილო გზის გასწვრივ პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა;</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 127<sup>1</sup>. საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის და ავტოსადგურის მუშაობის წესების დარღვევა, ან არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე;</li> <li>➤ მუხლი 129<sup>1</sup>. ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით.</li> </ul>
1/7	<p><b>ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება. მტკიცებულებანი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 200-201. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები) და მათი უფლებამოსილება;</li> <li>➤ მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები;</li> <li>➤ მუხლი 209. შინაგან საქმეთა ორგანოები;</li> <li>➤ მუხლი 230-232, 234<sup>1</sup>. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანები და წესი;</li> <li>➤ მუხლი 235. საპროკურორო ზედამხედველობა კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას;</li> <li>➤ მუხლი 236-237. მტკიცებულებანი და მათი შეფასება;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 238. პროკურორისათვის ან გამოძიების ორგანოსათვის მასალების გადაცემა;</li> <li>➤ მუხლი 239-241. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ოქმის შედგენის კომპეტენციის ფარგლები) და მისი შინაარსი;</li> <li>➤ მუხლი 242. შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ოქმი არ შედგება.</li> </ul>	
1/8	<p><b>ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არსი. ძალადობის თეორიები.</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სახეები;</li> <li>➤ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები;</li> <li>➤ პოლიციის მოვალეობანი ძალადობაზე ინფორმაციის მიღებისას;</li> <li>➤ შემაკავებელი და დამცავი ორდების შინაარსი, ვადები;</li> <li>➤ შემაკავებელი ორდერის შევსების უფლებამოსილი პირები.</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ განასხვავებს ოჯახში ძალადობის სახეებს;</li> <li>➤ ისაუბრებს ოჯახში ძალადობის გამომწვევებზე ძირითად ფაქტორებზე;</li> <li>➤ განსაზღვრავს პოლიციის მოვალეობას ძალადობაზე ინფორმაციის მიღების დროს;</li> <li>➤ აღწერს ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებებს;</li> <li>➤ იმსჯელებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე, მათი გამოცემის, ძალაში შესვლისა და გასაჩივრების წესსა და პროცედურებზე.</li> </ul>
1/9	<p><b>ადამიანის უფლებები - ნაწილი 1</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები;</li> <li>➤ სიცოცხლის უფლება;</li> <li>➤ წამების აკრძალვა.</li> <li>➤</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ჩამოთვლის ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტებს;</li> <li>➤ ისაუბრებს სიცოცხლის უფლებაზე, განიხილავს სიცოცხლის შეზღუდვის აბსოლიტურ აუცილებლობასა და ძალის გამოყენების პრინციპებს;</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ იმსჯელებს წამების აკრძალვის, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობის მნიშვნელობაზე.</li> </ul>
1/10	<p><b>ადამიანის უფლებები - ნაწილი 2</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება;</li> <li>➤ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;</li> <li>➤ აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება. დისკრიმინაციის დაუშვებლობა;</li> <li>➤ შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. თავისუფალი მიმოსვლის უფლება. საკუთრების უფლება.</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ისაუბრებს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების არსზე;</li> <li>➤ აღწერს პოლიციელის ვალდებულებებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის დროს;</li> <li>➤ იმსჯელებს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლების შეზღუდვის დროს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებზე;</li> <li>➤ ისაუბრებს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის კრიტერიუმებზე;</li> <li>➤ აღწერს დისკრიმინაციის ფორმებს;</li> <li>➤ იმსჯელებს შეკრებისა და მანიფესტაციების დროს ძალის გამოყენების პრინციპებზე;</li> <li>➤ იმსჯელებს დაკავებულის ან პატიმრის მიმართ ძალის გამოყენების პრინციპებზე.</li> </ul>
1/11	<p><b>სისხლის სამართლის კოდექსისი ზოგადი მიმოხილვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სისხლის სამართლის ცნება, სისტემა და ამოცანები;</li> <li>➤ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ცნება და მნიშვნელობა;</li> <li>➤ დანაშაული და მათი ნიშნები;</li> <li>➤ ქმედების შემადგენლობა;</li> <li>➤ მართლწინააღმდეგობა;</li> </ul> <p>ბრალი.</p>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ განსაზღვრავს სისხლის სამართლის ცნებას. ისაუბრებს სისხლის სამართლის პრინციპებსა და ამოცანებზე;</li> <li>➤ გამიჯნავს დანაშაულის ძირითად და დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშანებს და ისაუბრებს მათი გამოყენების სპეციფიკაზე;</li> <li>➤ ისაუბრებს დანაშაულის შემადგენელ ელემენტებზე;</li> <li>➤ გამიჯნავს ქმედების შემადგენლობის ძირითადი ელემენტებს, როგორცაა: სუბიექტი, ობიექტი, სუბიექტური მხარე, ობიექტური მხარე და განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესში.</li> </ul>

<p>1/12</p>	<p><b>სისხლის სამართლის ზოგიერთი დანაშაულები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (სსკ-ს 177-179, 186,187 მუხლი), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით, (სსკ-ს 225, 236, 238, 238<sup>1</sup> მუხლი) კვალიფიკაცია;</li> <li>➤ ხულიგნობა;</li> <li>➤ პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა;</li> </ul> <p>სასამართლო აქტებს აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (სსკ-ს 239, 353, 353<sup>1</sup>, 381 381<sup>1</sup> მუხლები);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ქრთამის აღება;</li> <li>➤ ქრთამის მიცემა.</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ერთმანეთისაგან განასხვავებს და შეძლებს ისაუბროს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ იმ ქმედებებზე, რომლებიც შესაძლოა გამოვლენილ იქნეს სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის შესრულებისას;</li> <li>➤ ისაუბრებს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებზე, რომლებიც დასჯადად აცხადებს: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, სამსახურებრივ სიყალბეს, სამსახურებრივ გულგრილობას, ქრთამის აღებას, ქრთამის მიცემას, ზეგავლენით ვაჭრობასა და კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებას.</li> </ul>
<p>1/13</p>	<p><b>საგზაო მოძრაობის წესები - ნაწილი 1</b></p> <p><b>საგზაო ნიშნები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მაფრთხილებელი ნიშნები;</li> <li>➤ პრიორიტეტის ნიშნები;</li> <li>➤ ამკრძალავი ნიშნები;</li> <li>➤ მიმთითებელი ნიშნები;</li> <li>➤ განსაკუთრებული მიმთითებების ნიშნები;</li> <li>➤ ობიექტებისა და სერვისის ნიშნები;</li> <li>➤ საინფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნები;</li> <li>➤ დამატებითი ინფორმაციის ნიშნები (დაფები).</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ განასხვავებს საგზაო ნიშნებს;</li> <li>➤ აღწერს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მონიშვნებს, თითოეული მათგანის მოთხოვნებსა და მოქმედების ფარგლებს.</li> </ul>

	<p><b>საგზაო მონიშვნები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ჰორიზონტალური მონიშვნები;</li> <li>➤ ვერტიკალური მონიშვნები;</li> <li>➤ სატრანსპორტო საშუალებაზე დასამაგრებელი საცნობი ნიშნები.</li> </ul>	
1/14	<p><b>საგზაო მოძრაობის წესები - ნაწილი 2</b></p> <p>საგზაო მოძრაობის მონაწილის ზოგიერთი უფლება-მოვალეობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მძღოლის ზოგადი მოვალეობები;</li> <li>➤ მგზავრის ზოგადი მოვალეობები;</li> <li>➤ ქვეითის მოძრაობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;</li> <li>➤ ქვეითებთან მიმართებით მძღოლის ქცევის წესები და მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვისას გასათვალისწინებელი ზოგიერთი გარემოება;</li> <li>➤ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მოვალეობები;</li> <li>➤ მარეგულირებლის სიგნალების, შუქნიშნის მაშუქი სიგნალების, საგზაო ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების ურთიერთდამოკიდებულება;</li> <li>➤ შუქნიშანი;</li> <li>➤ გზაჯვარედინი და გზის დათმობის მოვალეობა;</li> <li>➤ გაჩერება და დგომა.</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ისაუბრებს მძღოლის, ქვეითისა და მგზავრის უფლება-მოვალეობაზე;</li> <li>➤ აღწერს დამატებით მოთხოვნებს ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;</li> <li>➤ ისაუბრებს მარეგულირებლის სიგნალებზე, შუქნიშნის მაშუქის სიგნალებზე, საგზაო ნიშნებსა და საგზაო მონიშვნების ურთიერთდამოკიდებულებაზე; ასევე შუქნიშანზე და სატრანსპორტო საშუალების გზაზე განლაგებაზე;</li> <li>➤ აღწერს გზაჯვარედინის, გზის დათმობის, გაჩერებისა და დგომის წესებს.</li> </ul>
2	<b>საცეცხლე მომზადება (20 საათი)</b>	

მიზანი:	ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენება უსაფრთოების წესების დაცვით.	
N	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
2/1	<p>ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები.</p> <p>„კანონი პოლიციის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მუხლი 30. იძულების ღონისძიებები;</li> <li>➤ მუხლი 31. იძულების ღონისძიებების გამოყენების უფლება;</li> <li>➤ მუხლი 32. ფიზიკური ძალის გამოყენება;</li> <li>➤ მუხლი 34. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება.</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ისაუბრებს იძულებით ღონისძიებებზე და მისი გამოყენების უფლებებზე;</li> <li>➤ ჩამოთვლის პირთა წრეს, რომელთა მიმართ, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი.</li> </ul> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კომპეტენციის ფარგლებში კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენებს ფიზიკურ ძალას.</li> </ul>
2/2	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კანონი იარაღის შესახებ: მუხლები მე-2-დან მე-11-ის ჩათვლით, ასევე 25-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე;</li> <li>➤ იარაღის სახეები;</li> <li>➤ იარაღის მოსარგებლისა და მესაკუთრის უფლება-მოვალეობები;</li> <li>➤ „HHS-9“ - სისტემის პისტოლეტის, შენახვის, მოვლის, ტარების წესი და ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლები.</li> </ul>	<p><b>ცოდნა გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ისაუბრებს იარაღის შესახებ კანონის ზოგად დებულებებზე, სამოქალაქო, სამსახურებრივ-სამტატო და სამხედრო-საბრძოლო იარაღზე;</li> <li>➤ იმსჯელებს იარაღის გამოყენების წესზე, იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრისა და იარაღით მოსარგებლის უფლება-მოვალეობებზე;</li> <li>➤ აღწერს „HHS-9“ - სისტემის პისტოლეტის, შენახვის, მოვლის, ტარების წესსა და ტექნიკურ-ტაქტიკურ მახასიათებლებს.</li> </ul> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შესაბამისი წესების დაცვით ატარებს და მოუვლის სამსახურებრივ სამტატო ან პირად საკუთრებაში მყოფ ცეცხლსასროლ იარაღს.</li> </ul>

2/3	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ HS-9", სისტემის პისტოლეტის, არასრული დაშლა-აწყობა.</li> </ul>	<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით სამსახურებრივ სამტატო ან პირად საკუთრებაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღს დაშლის, ააწყობს, შეხეთავს, გაწმენდს.</li> </ul>
2/4	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ცეცხლსასროლი იარაღის დამუხტვა-განმუხტვა, იარაღის ამოღება, ჩადება ბუდეში, შესაბამისი კუთხის გათვალისწინებით, მომზადება და მზადყოფნის პოზიციების შემუშავება საბრძოლო დგომის იარაღის სწორად ჭერა დამიზნების გამომუშავება. მჭიდის ტაქტიკური და სწრაფი გამოცვლა.</li> </ul>	<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დამუხტავს და განმუხტავს ცეცხლსასროლ იარაღს;</li> <li>➤ ცეცხლსასროლ იარაღს მუდმივად მიმართავს უსაფრთხო ადგილისკენ და სასროლ თითს მუდმივად დატოვებს სასხლეტის გარეთ სროლის საჭიროებამდე;</li> <li>➤ შექმნილი ვითარების ხასიათიდან გამომდინარე სწორად და სწრაფად ამოიღებს და ჩაიდებს იარაღს ბუდეში;</li> <li>➤ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში სროლის დროს მაქსიმალურად სწრაფად შეცვლის დაცლილ (ან არასავსე) მჭიდს სავსე მჭიდით.</li> </ul>
2/5	<p><b>ვირტუალური ტირი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ვიდეოსცენარებით ორი პოლიციელის ვარჯიში ცეცხლსასროლი იარაღის სიმულატორის გამოყენებით.</li> </ul>	<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შეაფასებს მდგომარეობას;</li> <li>➤ მეწყვილესთან შეთანხმებით გაინაწილებს მეკონტაქტე ან დამფარავი პოლიციელის როლს;</li> </ul>
2/6	<p><b>ვირტუალური ტირი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ვიდეოსცენარებით ორი პოლიციელის ვარჯიში ცეცხლსასროლი იარაღის სიმულატორის გამოყენებით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ შეარჩევს იარაღის დამიზნების პერიმეტრს.</li> </ul>
2/7	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სროლის წესები, პირადი და ჯგუფის სხვა წევრების უსაფრთხოება, 5 მეტრის დისტანციიდან გაჩერებულ სამიზნეში საბრძოლო ვაზნის გასროლა (8 ვაზნა თითო მსმენელზე)</li> </ul>	<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ უსაფრთხოების წესების დაცვით 5 მეტრის დისტანციიდან გაჩერებულ სამიზნეში მოახდენს საბრძოლო ვაზნის გასროლას.</li> </ul>

2/8	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სროლის წესები, პირადი და ჯგუფის სხვა წევრების უსაფრთხოება, 15 მეტრის დისტანციიდან გაჩერებულ სამიზნეში საბრძოლო ვაზნის გასროლა (8 ვაზნა თითო მსმენელზე)</li> </ul>	<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ უსაფრთხოების წესების დაცვით 15 მეტრის დისტანციიდან გაჩერებულ სამიზნეში მოახდენს საბრძოლო ვაზნის გასროლას.</li> </ul>
2/9	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სროლის წესები, პირადი და ჯგუფის სხვა წევრების უსაფრთხოება, 15 მეტრის დისტანციიდან გაჩერებულ სამიზნეში საბრძოლო ვაზნის გასროლა (8 ვაზნა თითო მსმენელზე)</li> </ul>	
2/10	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სროლის წესები, პირადი და ჯგუფის სხვა წევრების უსაფრთხოება, 15 მეტრის დისტანციიდან გაჩერებულ სამიზნეში საბრძოლო ვაზნის გასროლა (8 ვაზნა თითო მსმენელზე)</li> </ul>	
<b>3</b>	<b>სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და პოლიციელის პირადი უსაფრთხოების წესები (6 სთ)</b>	
<b>მიზანი:</b>	სამართალდამრღვევთან ურთიერთობისას პირადი უსაფრთხოების დაცვა.	
<b>N</b>	<b>ლექციის თემა</b>	<b>სწავლების შედეგები</b>
3/1	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პოლიციელის პირადი უსაფრთხოების საფუძვლები, ობიექტთან კონტაქტი და დაფარვა.</li> <li>➤ „საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ზოგიერთი წესის განსაზღვრის შესახებ“ შს მინისტრის 2015 წლის 11 აპრილის N 290 ბრძანება.</li> <li>➤ შს მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N 1002 ბრძანება.</li> </ul>	<p><b>ცოდნა/გაცნობიერება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აღწერს პოლიციელის თვითგადარჩენისათვის აუცილებელ წესებს;</li> <li>➤ ჩამოთვლის მეწყვილე პოლიციელთან მუშაობის სპეციფიკურ საკითხებს.</li> </ul> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ქვეით სამართალდამრღვევთან გაუთვალისწინებელ სიტუაციებში, კერძოდ: ქუჩაში, დასახლებულ ან დაუსახლებელ პუნქტში, შენობის ფართე სივრცის ან ვიწრო მონაკვეთში იმოქმედებს შესაბამისად;</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ საჭიროების შემთხვევაში შეიპყრობს პირს შესაბამისი სამსახურისათვის გადაცემის მიზნით.</li> </ul>
3/2	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამართალდამრღვევის მიმართ სპეც-საშუალებების გამოყენება (ხელკეტი, ხელბორკილი), დაკავება, დათვალიერება, ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები.</li> </ul>	<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გამოიყენებს სპეციალურ საშუალებებს და ორთაბრძოლის სპეციალურ ილეთებს სამართალდამრღვევის დაკავების, დათვალიერებისა და ბადრაგირებისას.</li> </ul> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ უსაფრთხოების წესების დაცვით გაესაუბრება სამართალდამრღვევს.</li> </ul>
3/3	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამართალდამრღვევის მიმართ სპეც-საშუალებების გამოყენება (ხელკეტი, ხელბორკილი), დაკავება, დათვალიერება, ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები.</li> </ul>	

1. ვირტუალური ტირში მსმენელის შეფასება ხორციელდება დანართი N1 შესაბამისად;
2. საცეცხლე ტირში მსმენელის შეფასება ხორციელდება 3 გასროლით - (თითო გასროლა მაქსიმუმ 10 ქულა).
3. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი საცეცხლე ტირში მიიღებს 21 ქულაზე ნაკლებს, აღარ დაიშვება ვირტუალური ტირში და გადის გადაბარებაზე.
4. თუ მსმენელი აუცილებლობის შემთხვევაში არ მოახდენს გასროლას ან დააზიანებს უდანაშაულო პირს ან დანართი N1 მე-13 კრიტერიუმში სამართალდამრღვევის განეიტრალების მიუხედავად მოახდენს გასროლას, მას ვირტუალური სასროლეთის შეფასებაში ეწერება 0 ქულა და გადის გადაბარებაზე. აღნიშნული ვრცელდება მსმენელის მიერ საცეცხლე ტირში 30 ქულის მიღების მიუხედავად.

**დანართი N 1**

#	ვირტუალურ სასროლეთში მსმენელთა შეფასების კრიტერიუმები	ქულა
1	იარალის სწორად დაჭერა	1
2	იარალის შემოწმება	1
3	საბრძოლო დგომი	1
4	იარალის ბუდიდან დროულად ამოღება	1
5	იარალის დროულად დამუხტვა	1
6	თითი არ უდევს სასხლეტზე	2
7	გაცა სწორი ბრძანება-მითითებები	1
8	ბრძანება-მითითებები დამაჯერებელია	1
9	დროულად მოახდინა გასროლა	1

10	სამართალდამრღვევის დაზიანება	8
11	არ დაარღვია ცეცხლსასროლ იარაღთან მოპყრობის წესები (არ მიმართა იარაღი სხვა პირების მიმართ)	1
12	გადაწყვიტა რომ საფრთხე ჯერ არ არის დაძლეული, ბოლომდე დარჩა ფოკუსირებული საფრთხეზე, არ დაუშვა იარაღი	1
13	საჭირო რაოდენობის გასროლა (დაიცვა პროპორციულობის პრინციპი)	1
14	ვიდეოსიუჟეტის დავალების სწორად აღქმა	1
15	გადაწყვეტილების დასაბუთება (ქმედების დასაბუთების სამართლებრივი მხარე, კანონი პოლიციის შესახებ მე-34 მუხლის გამოყენებით)	3

თუ მსმენელი აუცილებლობის შემთხვევაში არ მოახდენს გასროლას ან დააზიანებს უდანაშაულო პირს ან დანართი N1 მე-13 კრიტერიუმში სამართალდამრღვევის განეიტრალების მიუხედავად მოახდენს გასროლას, მას ვირტუალური სასროლეთის შეფასებაში ეწერება 0 ქულა და გადის დასკვნითი გამოცდის გადაბარებაზე (თუ აქვს გადაბარების უფლება). აღნიშნული ვრცელდება მსმენელის მიერ საცეცხლე ტირში 21 ქულის მიღების მიუხედავად.

**შენიშვნა:** სამიზნე ფარზე თავის არეში ნასროლი ჩაითვლება 0 ქულად.

სახელი, გვარი	I	II	III	IV	ჯამი	მსმენელის ხელმოწერა



